



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #130/18¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა**

ნუგზარ მოსიძე (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი შეჰპირდა, რომ პროკურატურასთან აუცილებლად შედგებოდა საპროცესო შეთანხმება პირობით სასჯელზე. პროცესზე რამოდენიმე წუთიანი საუბრის შემდეგ კი ადვოკატმა უთხრა კლიენტს, რომ საპროცესო შეთანხმება არ გაუფორმდა და მას შეეფარებოდა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. აღნიშნული სხდომა გადაიდო, ხოლო შემდეგი სხდომის დღეს ადვოკატმა კლიენტს შეატყობინა, რომ იმყოფებოდა შვებულებაში და ამის გამო ვერ დაესწრებოდა სასამართლო პროცესს. საჩივრის ავტორს განმარტებით, ადვოკატმა არ გაუწია შესაბამისი კონსულტაცია მას, რის გამოც საჩივრის ავტორმა უდავოდ სცნო სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, ამასთან ადვოკატმა არაკვალიფიციური დაცვა განახორციელა, რომლის შედეგად პროკურატურამ უარი განაცხადა საჩივრის ავტორთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე. ადვოკატის განმარტებით, ის საქმეში ჩაერთო მას შემდეგ, რაც ბრალდებულს უკვე გამოცხადებული ჰქონდა მტკიცებულებები უდავოდ, შესაბამისად ამ საკითხთან დაკავშირებით კლიენტს კონსულტაციას ვეღარ გაუწევდა.

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ამასთან, ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას. საპროცესო კოლეგიამ გამოარკვია, რომ ადვოკატის უშუალო ჩართულობით მოლაპარაკებები მიმდინარეობდა პროკურორთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე. ამასთან, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატმა საჩივრის ავტორი წარმოადგინა ორ სასამართლო პროცესზე, რომელთაგან ერთი ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, საპროცესო შეთანხმების მიღწევის მიზნით გადაიდო, ხოლო მეორე სხდომაზე საჩივრის ავტორს პროკურორისგან უარი ეთქვა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე და მოსამართლემ გადადო გადაწყვეტილების გამოცხადება.

დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად აღნიშნა, რომ ადვოკატის ქმედებებში დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ გამოვლინდა ადვოკატთა პროფესიული ქცევის სტანდარტების შესაძლო დარღვევა და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ იძლეოდა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს. შესაბამისად აღნიშნულ საქმეზე არ აღიძრა დისციპლინური დევნა.

¹ <https://gba.ge/pdf/5e1c449f0a53e.pdf/130.18%2010.12.18%20ar%20agdzvra.pdf>